პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა საქართველოს რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по Физической культуре и спорту при Совете Министров Грузинской ССР и Грузинского республиканского совета профсоюзов

№ 57 (1227) | სამშაბათი, 13 მაისი, 1958 წ. | გამოცემის მე-14 წელი. | ფასი 20 კაპ.

ჩვენი მრავალდღიანი ველორბოლა



14 მაისს თბილისში სტარტი მიეცემა რესპუბლიკურ მრავალდღიან ველორბოლას, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს საქართველოს ყველა წამყვანი ველოსიპედისტი.

როგორი პრინციპით ტარდება ველოსიპედისტთა რესპუბლიკური შეჯიბრება? ყოველი ახალი ეტაპის სტარტს სპორტსმენები თბილისში აიღებენ და მეორე დღეს უკან დაბრუნდებიან თბილისში. გამონაკლისს შეადგენს თბილისი-ანანური-თბილისის ტრასა, რომელიც იწყება და მთავრდება იმავე დღეს.

პირველად ველოსიპედისტები გეზს აიღებენ ხაშურისაკენ. ღამის თევის შემდეგ რბოლის მონაწილენი 15 მაისს დაბრუნდებიან თბილისში. შემდეგი ეტაპია თბილისი-ბორჯომი-თბილისი. 16-ში ველოსიპედისტები იქნებიან ბორჯომში, დაისვენებენ და 18-ში დაბრუნდებიან უკან. 19 მაისს შედგება მორიგი ეტაპი მარშრუტით თბილისი-ანანური - თბილისი. 20 მაისს 160-კილომეტრიანი დისტანციის გავლის შემდეგ ველოსიპედისტები ღამეს გაათევენ ლაგოდეხში და 21 მაისს დაბრუნდებიან თბილისში. ეს რესპუბლიკური მრავალდღიანი ველორბოლის უკანასკნელი ეტაპია. ყველა ეტაპის ჯამში უკეთესის შედეგის ჩვენებისათვის გუნდს მიენიჭება გამარჯვებულის წოდება. ასეთი პრინციპით განისაზღვრება გამარჯვებული პირად ჩათვლაშიც.

რთული და მრავალფეროვანი ტრასა იმედს გვაძლევს, რომ რბოლა საინტერესო იქნება.

საბჭოთა ტანმოვარჯიშის გამარჯვება

ერთიანული ბიბლიოთეკა

ორი დღის განმავლობაში მოსკოვის „კრილია სოვეტოვის“-ში მიმდინარეობდა „წითელი მეტეორის“ (უნგრეთი) და „ტრუდის“ (მოსკოვი) უძლიერეს ტანმოვარჯიშეთა საერთაშორისო ამხანაგური მატჩი, რომლის პროგრამაში იყო ვარჯიშები მხოლოდ ნებისმიერი პროგრამით. ამ საინტერესო შეჯიბრებაში თავიდანვე დაწინაურდნენ უნგრელი ფერენც კემენი და საბჭოთა სპორტსმენი ევგენი ივანოვი, მაგრამ შემდეგ მაღალი ოსტატობა გამოამჟღავნა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონმა ალექსანდრე სობოლევმა, რომელმაც მეტად მაღალი შედეგები აჩვენა რგოლებზე და ორძელზე ვარჯიშში. მრავალჭიდში 57,25 ქულის მოგროვებით პირველი ადგილი მოიპოვა ა. სობოლევმა. სტუმრებიდან ყველაზე წინ იყო ფ. კემენი. — 54,0 ქულა.

საქართველოს 1958 წლის პირველობა ჭადრაკში

საქართველოს მოჭადრაკეთა XIX ჩემპიონატის პირველ ტურში სწრაფად დამთავრდა ლოლუა-გურგენიძის შეხვედრა. ფოთელმა სპორტსმენმა ცენტრში მხედრის გაცვლის შემდეგ, მოულოდნელად „დაუსვა“ ხარისხი მოწინააღმდეგეს. ოსტატმა ზუსტად მოახდინა „ნაჩუქარის“ რეალიზაცია და გაიმარჯვა.

ამ დღეს კიდევ ორი პარტია დამთავრდა. რაზოვსკიმ მოუგო მორჩილაძეს, ხოლო ბლაგიძე-ბელთაძის შეხვედრაში ფიქსირებული იქნა ყაიმი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

მეორე ტურში ოსტატმა შიშოვმა ადვილად სძლია რაზოვსკის წინააღმდეგობა, ქუთაისელმა მოჭადრაკემ წააგო ფიგურა და მალე პარტიაც. საერთაშორისო ოსტატმა კასპარიანმა ენდშპილში კარგად გამოიყენა პოზიციური უპირატესობა ოსტატობის კანდიდატ კალატოზიშვილთან პარტიაში და გაიმარჯვა. გაშრეკელმა გამსვლელი პაიკის წინსვლით აიძულა გაგუა დანებებულიყო. ბრეიტმანმა მოუგო ლოლუას, ლომაიამ — ბელთაძეს. ყველაზე ადრე დამთავრდა ბლაგიძე-ბუსლაევის შეხვედრა. მოწინააღმდეგენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

დანარჩენი პარტიები არ დამთავრებულა.

როგორ გამოვიყურებით ცხენოსნობაში?

ახლა რესპუბლიკის რომელ ფიზკულტურულ ორგანიზაციაშიც არ უნდა შეხვიდეთ, ყველგან, ყველა საუბარში გაიგონებთ ერთ სიტყვას — „სპარტაკიადა“. ზოგს „სპარტაკის“ სპარტაკიადა აწუხებს და იმ-ახათვის ეშზადება, ზოგს „დინამოსი“, ზოგს მოსწავლეთა, ზოგს „კოლმეურნეს“ და ა. შ. მართლაც, მიმდინარე წელი სპარტაკიადების წელია, ხალხთა მეორე სპარტაკიადის სანმეშოდ მომზადების მეტად საპასუხისმგებლო ეტაპია. ამ მრავალრიცხოვან კომპლექსურ შეჯიბრებებში უნდა გამოვლინდნენ, გამოიწრთონ ის სპორტსმენები, რომლებიც შეადგენენ რესპუბლიკის ნაკრებ გუნდებს და მონაწილეობას მიიღებენ მომძლე რესპუბლიკების სახალხო ასპარეზობაში.

როდესაც საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე ჩამოვარდება ლაპარაკი, სპორტის მეხვეურები იმ წამსვე დაიწყებენ პროგნოზების გამოყვანას. დაახლოებით შედეგებს გეტყვიან ტანვარჯიშში, კალათბურთში, ნიჩბოსნობაში... მაგრამ ცხენოსნობაში თავს შეიკავებენ, მხრებს აიჩეჩენ და იტყვიან — „ხალხი მოიძებნება, მოყვარულები არიან, მაგრამ ცხენთა შემადგენლობა!...“

ამას წინათ ჩვენ ვესაუბრეთ სახელმწიფო მწვრთნელს ცხენოსნობაში ამხ. ა. ზამბახიძეს, რომელმაც განაცხადა: „პირდაპირ უნდა აღინიშნოს, საქმე ვერა გვაქვს კარგად. უმაღლეს სკოლახა და სამანეიო სვლაში გამოსაყვანად რესპუბლიკაში (ისიც თბილისში) მხოლოდ ორად ორი ცხენია. მართალია, ოთხი ცხენი კიდევ შევიძინეთ, მაგრამ არც ეს შველის საქმეს. ცხენები კიდევ გვჭირდება. ავიღოთ მაგალითად, ქუთაისის საცხენოსნო ბაზა, რომელსაც აქვსი საშტატო ერთეული ემსახურება. ქუთაისმა საქართველოს პირველობაზე (რომელიც 12 ივნისს თბილისში უნდა ჩატარდეს), რომ მიიღოს მონაწილეობა, სულ ცოტა 20 ცხენი მაინც უნდა გამოიყვანოს, მაგრამ, როგორც გავიგეთ, იქ მხოლოდ ხუთი ცხენია ვარგისი. ამიტომ ქუთაისის ცხენოსნებმა რესპუბლიკის პირველობის პირველ ჯგუფში მონაწილეობაზე უარი განაცხადეს. ფოთიც არ არის მიანცდამაინც საქმე კარგად. ფოთელები დაჟინებით მოითხოვენ პირველ ჯგუფში გამოსვლას, მაგრამ შეჯიბრებისათვის ვარგის იმ რვა ცხენით, რომელიც მათ განკარგულებაშია, შეძლებენ თუ არა კარგი შედეგის ჩვენებას, მეტად საეჭვოა.

შედარებით კარგად არის საქმე თბილისში, სოხუმში, გუდაუთში, ზუგდიდში. მაგრამ ცხენოსნობაში არასახარბიელო მდგომარეობის მიზეზი მარტო ცხენთა შემადგენლობის სისუსტე როდია. არა გვყავს მაღალკვალიფიციური მწვრთნელები. აბა ჩამოვთვალოთ რამდენი მწვრთნელია ისეთი, რომელსაც შესწევს უნარი საცხენოსნო სპორტში უკანასკნელი დებულების მიხედვით ამეცადინოს სექცია? რამდენიმე კაცის გვარის დასახელებას თუ შეძლებთ.

ცხენოსნობის განვითარებას რესპუბლიკაში სპორტული საზოგადოება „კოლმეურნე“ და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტები ეწევიან. კი მაგრამ, რატომ? იკითხავთ თქვენ. კომიტეტები ხომ მოწოდებულნი არიან უხელმძღვანელონ, კონტროლი გაუწიონ სპორტული საზოგადოებების საქმიანობას, ხოლო სპორტული საზოგადოებები უშუალოდ მოვალენი არიან განავითარონ სპორტი? სწორედ ასეა. მაგრამ „კოლმეურნეს“ გარდა არც ერთი საზოგადოება არ ჰკიდებს ხელს ცხენოსნობას. ეს გასაგებია. იგი მეტად რთული და ძვირად ღირებულია. ამის მიუხედავად სპორტულ საზოგადოებებს უფლება არა აქვთ ზურგი შეაქციონ ცხენოსნობას. პირიქით, საჭიროა გამოიძებნოს სახსრები და დაინერგოს სპორტის ეს მეტად საჭირო სახეობა.

რესპუბლიკის რაიონებში ასეთი პრაქტიკაა გავრცელებული. რაიონში შეიძენენ ცხენებს და შესანახად კოლმეურნეობებზე ანაწილებენ. იქ კი ამ ძვირფას პირუტყვს სხვა დანიშნულებით იყენებენ. ასე ზოგჯა ზესტაფონის რაიონში და სხვაგანაც. ამ პრაქტიკამ არ გაამართლა. საჭიროა ცხენთა შემადგენლობის კონცენტრირება, საჭინიბოების აგება, გამოცდილი მომვლელების მიჩენა და, რაც მთავარია, საკვებით უზრუნველყოფა. აქვე უნდა დავძინოთ, რომ საკვების საკითხი (კერძოდ თივის) მეტად მწვავედ დგას და იგი უახლოეს ხანებში თუ არ გადაწყდა, მეტად არასახარბიელო სურათს მივიღებთ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახლა ყველაფერი მიმართულია იქითკენ, რათა საბჭოთა კავშირის ხალხთა მეორე სპარტაკიადაზე წარმატებით გამოვიდეთ. სპორტის სხვადასხვა სახეობაში უკვე გადადგმულია სათანადო, მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ეწყობა ამხანაგური შეჯიბრებები, სხვადასხვა შერჩევითი ტურნირები და სხვ. ცხენოსნობაში რატომღაც ასე არ არის. ჩვენ კი გვგონია, ჩატარებული მუშაობის შემოწმებისათვის, ძალთა გამოცდისათვის კარგი იქნება თუ მოვიწვევთ ან ვესტუმრებით რომელიმე ძლიერ რესპუბლიკის ცხენოსნებს. გავეცნობით მათ მუშაობას და შევამოწმებთ ჩვენს თავს. ამხანაგური შეხვედრების ჩატარების კარგი ტრადიცია, რომელიც თითქმის სპორტის ყველა სახეობაშია, ცხენოსნობაშიც უნდა დაინერგოს.

ახლა იპოდრომის შესახებ. პირადად ჩვენი გაზეთი არა ერთხელ გამოეხმაურა იპოდრომის მშენებლობის დაჩქარების საქმეს. იპოდრომი მარტო გასართობი დაწესებულება როდია, იგი ცხენისა და მხედრის გამოწრთობის თავისებური ლაბორატორიაა. აქ უნდა მიიღონ სატურნირო ჩვევები ახალგაზრდებმა და თავშეუკავებელ რბოლაში გამოავლინონ საუკეთესო ცხენები. ეს ყველამარიტება ყველასათვის ცნობილია, მაგრამ, მიუხედავად ამისა, იპოდრომის დამთავრებას საშეალი არ დაადგა. იგი ჯერ კიდევ გასულ წელს უნდა გახსნილიყო, შემდეგ მიმდინარე წლის პირველ მაისს, ახლა გადაწყვეტილია იპოდროშის მშენებლობის დამთავრება მიუძღვნან თბილისის 1500 წლისთავს. ეს კარგია, მაგრამ სად ჩავატაროთ საქართველოს პირველობა, რატომ ამაზე არ ზრუნავს იპოდრომის დირექცია?

საბჭოთა კავშირის ხალხთა პირველ სპარტაკიადაზე დაკავებული VIII ადგილი არავითარ შემთხვევაში არ გვაკმაყოფილებს. ჩვენ უფრო კარგ ადგილზე გამოსვლის საშუალება გვაქვს, რასაკვირველია, თუ ეპიზოდურ მუშაობას თავს დავანებებთ, ახალს შევიძენთ და რაცა გვყავს იმ ცხენთა შემადგენლობას თვალსაჩინოვით გავუფრთხილდებით.



ზუგდიდი. ცხენოსნები ემზადებიან საქართველოს პირველობისათვის. სურათზე: ცხენოსანი დაკავია ვარჯიშის დროს. მარჯვნივ — ცხენის ვეტერინარული შემოწმება.

ფოტო ვ. სოკოლოვისა.

სპორტული ტანვარჯიშის შემდგომი აღმავლობისათვის

გ. ჭილაია,
საქართველოს სახელმწიფო მწვრთნელი ტანვარჯიშში

ასეთი მდგომარეობა ძირითადად იმით აიხსნება, რომ რიგ უმაღლეს სასწავლებლებში და სპორტულ საზოგადოებებში სასწავლო-საწვრთნელი პროცესი არ არის სათანადო სიმაღლეზე დაყენებული. ნაცვლად იმისა, რომ შესრულდეს ფიზკულტურისა და სპორტის საკავშირო და რესპუბლიკური კომიტეტების დადგენილებები ამ რთული პედაგოგიური პროცესის სრულწლიური ორგანიზაციისა და მაღალთანრიგოსნებისათვის კვირაში 4-5-ჯერ სამი საათის ხანგრძლივობის საწვრთნელი გაკვეთილის ჩატარების შესახებ, აქ მთელი მუშაობა მხოლოდ 6-7 თვე გრძელდება და ისიც კვირაში სამჯერ ორ-ორი საათის ხანგრძლივობით. თუმცა ნაკრები გუნდების შევსებას ძირითადად განათლების სამინისტროს ბავშვთა სასპორტო სკოლებიდან ვიღებთ, მაგრამ მდგომარეობა ამ მხრივ არც აქ არის სახარბიელო, რის შედეგადაც თუ არ ვილაპარაკებთ თვით საწვრთნელი გაკვეთილის ხარისხზე, რესპუბლიკის პირველობაზეც კი, სადაც მხოლოდ რჩეულებს შეუძლიათ მოხვდნენ, ძალზე მოუმზადებელ სპორტსმენებს შეხვდებით. ცხადია, შემდეგში ისინი კარგავენ ვარჯიშის ხალისს და დარჩენილ მოკლე დროში მათი სათანადოდ მომზადება საკავშირო შეჯიბრებებისათვის შეუძლებელი ხდება.

საშუალო სკოლადამთავრებული ტანმოვარჯიშეების უმრავლესობა ნაკრებ გუნდებში ვერ ხვდება, ამიტომ შემდგომ წვრთნას განაგრძობენ სპორტული საზოგადოებების ან უმაღლესი სასწავლებლების ამგვარად ორგანიზებულ სექციებში და გასაკვირი არ არის, რომ უკეთეს შემთხვევაში მომზადების იმავე დონეზე რჩებიან ან სრულიად ანებებენ თავს სპორტის ამ სახეობას. ასეთი ბედი ეწიათ მაგალითად პოლიტექნიკური ინსტიტუტის მაღალი დატვირთვების გამოყენებით მის გადაჭრით გაუმჯობესებას. უნდა შეიმუშაონ ყოველი ტანმოვარჯიშისათვის ტექნიკური მაჩვენებლების განუხრელი ზრდის პერსპექტიული გეგმები და შექმნან მათი შესრულებისათვის საჭირო აუცილებელი პირობები.

საქართველოში ბავშვთა სასპორტო სკოლების საკმაოდ ვრცელი ქსელია, მაგრამ ამ სკოლების ხელმძღვანელებმა დღემდის ვერ მიაღწიეს სკოლის ასაკში ტანვარჯიშის ოსტატების აღზრდას, თუმცა ამისათვის საჭირო პირობები არსებობს. საჭიროა მხოლოდ, სკოლების მუშაობის უკეთესი ორგანიზაცია. სკოლაში მისაღები კონტინგენტის მეტი ყურადღებით შერჩევის, ადრეული სპეციალიზაციის სწორად დანერგვის, მატერიალური ბაზისა და სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაუმჯობესების გზით, შესაძლებელია მივაღწიოთ თეითეული სასპორტო სკოლიდან ყოველწლიურად 1-2 სპორტის ოსტატის გამოშვებას. ამ მხრივ გაცილებით მეტის გაკეთება შეიძლება თბილისისა და ქუთაისის განათლების განყოფილებების ტანვარჯიშის სპეციალიზებულ სკოლებში.

როგორც ცნობილია, სასწავლო-საწვრთნელი პროცესის წარმატება დამოკიდებულია ამ პროცესის ხელმძღვანელის, მწვრთნელის ორგანიზატორულ ნიჭზე, მის კვალიფიკაციაზე და რაც მთავარია, მინდობილი საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებაზე. ამ მიმართებით არის ერთგვარი წინსვლა. რამდენიმე წლის წინათ საქართველოში სპორტის ოსტატის პროგრამით მომზადებული ორი ათეული ტანმოვარჯიშე თუ მოგვეპრვებოდა, ამჟამად მათმა რიცხვმა 150-ს მიაღწია და მაშასადამე, გამრავლდა იმ მწვრთნელთა რიგები, რომლებიც ხელს კიდებენ ოსტატთა მომზადების საკმაოდ ძნელ საქმეს, მაგრამ ამ რიცხვობრივ ზრდას სამწუხაროდ, შესაბამისი ხარისხობრივი წინსვლა არ მოჰყოლია.

მწვრთნელები იმდენად გაიტაცა მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეების მომზადების საქმემ, რომ მათი ნაწილი არა სწორი გზით მიდის. ისინი შეუწყნარებლად ჩქარობენ. ნაცვლად იმისა, რომ მიაღწიონ აღებული თანრიგის პროგრამის ყოველი ელემენტის დეტალურად დამუშავების საფუძველზე ტანმოვარჯიშეთა მიერ ცალკეული ნაერთებისა და მთელი ვარჯიშების შესრულებაში უმაღლეს ოსტატობას, კმაყოფილდებიან მხოლოდ საკლასიფიკაციო პროგრამის დამაკმაყოფილებლად ათვისებით და სათანრიგო ნორმატივების პირველი მინიმალური შესრულებისთანავე გადაყავთ ტანმოვარჯიშეები მომდევნო თანრიგზე ე. ი. მაშინ, როდესაც ჯერ კიდევ არაა პროგრამა სრულყოფილად დამუშავებული. ამიტომ ხშირად ვხვდებით შეჯიბრებებზე სუსტად მომზადებულ ტანმოვარჯიშეებს. მათ ვარჯიშებში ბევრია დაუმუშავებელი ელემენტები, რომელთა დამოუკიდებლად შესრულებას ვერ ახერხებენ და იძულებული ხდებიან მიმართონ მწვრთნელების დახმარებას.

საწვრთნელი პროცესის ასეთნაირად წარმართვას განსაკუთრებით დიდი ზიანის მიყენება შეუძლია ბავშვთა სპორტსკოლებისათვის. სკოლის ასაკში ოსტატების მომზადება უნდა მოხდეს არა თანრიგიდან თანრიგში გადასვლისათვის საჭირო ოპტიმალური დროის შემცირებისა და აქედან გამომდინარე საბოლოო ანგარიშში მომზადების ხარისხის დაწევის ხარჯზე, არამედ სწორი, ადრეული სპორტული სპეციალიზაციის საფუძველზე მომზადებისათვის საჭირო მთელი ოპტიმალური დროის სასკოლო ასაკში მოთავსების, არსებული საშუალებების მაქსიმალური გამოყენებით.

მწვრთნელები მუდმივად უნდა მუშაობდნენ ახალი ორიგინალური ელემენტებისა და ლამაზი ნაერთების შექმნაზე, მაგრამ საშეჯიბრო ვარჯიშებში მაშინ უნდა შეიტანონ ისინი, როდესაც მიაღწევენ ტანმოვარჯიშეები მათ საუკეთესო შესრულებას და გამოიმუშავებენ დამოუკიდებელი შესრულების რწმენას.

აღნიშნული შეცდომების თავიდან აცილების მიზნით რესპუბლიკურმა კომიტეტმა აუკრძალა მწვრთნელებს ტანმოვარჯიშეების მომდევნო თანრიგის პროგრამაზე გადაყვანა თუ ისინი წინა დაბალი თანრიგის პროგრამას ოფიციალურ შეჯიბრებებზე არ შეასრულებენ შესაძლებელ ქულათა 90 პროცენტით. ამასთან, მომზადების ეს დონე მიღწეულ უნდა იქნას თანრიგის პირველი ჩაბარებიდან არა უგვიანეს 5-6 თვისა. რესპუბლიკურ შეჯიბრებებზე პირველთანრიგოსნებს და ოსტატებს შეჯიბრების პროგრამის ყველა სახეობაში გარდა ღერძისა, ბჯენითი ხტომებისა და რთული ჩამოხტომებისა ნაირსიმაღლის ორძელიდან, დააკლდებათ დამატებით 0,2 ქულა ვარჯიშების შეფასებაზე შესრულების დროს მწვრთნელის იარაღთან გამოსვლისათვის.

ტანვარჯიშში მუშაობის გაუმჯობესებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს მწვრთნელთა კადრების სწორად განაწილებას. უნდა ვეცადოთ, რომ მწვრთნელები მთლიანად დავტვირთოთ ერთ რომელიმე ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში მათ გამოუმუშავდებათ თავისი კოლექტივისადმი სიყვარული, პატრიოტული გრძნობები, უკეთესად შეიგრძნობენ კოლექტივის მაჯისცემას და მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდებიან საქმეს. საკითხავია, რომელი კოლექტივისადმი უნდა იყოს პატრიოტული გრძნობებით გამსჭვალული რესპუბლიკის ერთ-ერთი მწვრთნელი ს. ბურჯანაძე თუ ის ერთდროულად არის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, სპორტული საზოგადოებების — „შრომითი რეზერვების“, „განთიადის“ და უნივერსიტეტის ტანვარჯიშის სექციების მწვრთნელი? მიუხედავად იმისა, რომ თბილისში არის ამჟამად ამ საკითხის დადებითად გადაჭრის შესაძლებლობები, მაინც ბევრია მსგავსი შემთავსებლები.

ფიზკულტურისა და სპორტის თბილისის კომიტეტის კადრების განყოფილებამ და ტანვარჯიშის სექციამ დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლონ მდგომარეობა და გადაანაწილონ მწვრთნელების დატვირთვა მათი შესაძლებლობებისა და მუშაობის პროდუქციულობის შესაბამისად. ამ საქმეს ხელი უნდა მოკიდოს ტანვარჯიშის რესპუბლიკურმა სექციამაც.

რესპუბლიკის რიგი ფიზკულტურული ორგანიზაციები მწვრთნელის სამუშაოზე აყვანისას ანგარიშს არ უწევენ მისი დროის ბიუჯეტის განაწილებას, ნაკლებად აკონტროლებენ მათ მოღვაწეობას, არ ისმენენ ხელმძღვანელი საზოგადოებრივი სექციების პრეზიდიუმების სხდომაზე მწვრთნელების ანგარიშს, სუსტად ეხმარებიან მათ აღებული ვალდებულებების შესრულებაში. მწვრთნელები კი თავის მხრივ ნაკლებ ინიციატივას იჩენენ. ამის შედეგია, რომ გასულ წელს მწვრთნელებმა ი. ოგანოვმა, ლ. თავდიდიშვილმა, ს. ზურაბოვმა („დინამო“), ა. ჯორჯაძემ, თ. სანებლიძემ, გ. ბაბილოძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი), ა. ფხაკაძემ, ნ. ბახუტაშვილმა, ს. ბურჯანაძემ (უნივერსიტეტი), კ. უზუნოვმა, ი. აფრიდონიძემ („ლოკომოტივი“) ვერ შეასრულეს ტანმოვარჯიშეთა სპორტტექნიკური მაჩვენებლების ზრდის თვითვალდებულებით აღებული გეგმები. ამითვე აიხსნება ისეთი მდგომარეობა, როდესაც ზოგიერთ ორგანიზაციებში იხარჯება სახსრები უპერსპექტივო, არაფრისმომცემ ჯგუფებზე.

ცნობილია, რომ სპორტული შეჯიბრება არის რთული სასწავლო-საწვრთნელი პროცესის გაგრძელება. აქ გამოვლინდება და კიდევ უფრო სრულყოფილი ხდება სპორტსმენთა მორალურ-ფსიქოლოგიური ჩვევები. კარგად ორგანიზებული შეჯიბრება ტანვარჯიშის აგიტაციაც არის და ცალკეული მწვრთნელების და ორგანიზაციების მიერ ჩატარებული მუშაობის საუკეთესო შემოწმებაც, მაგრამ ზოგიერთი შეჯიბრებები, სამწუხაროდ, ვერ აღწევენ ამ მიზნებს. მაგალითად, ა. წ. აპრილში თბილისის პირველობაზე ჩატარებული შეჯიბრების პირველი ტური, რომელიც მიზნად ისახავდა რესპუბლიკური კომიტეტის № 769 ბრძანების განხორციელებას, არც ძირეულ კოლექტივებს შორის შეჯიბრება იყო და არც ნაკრებ გუნდებს შორის. იგი გადაიქცა იმდენად მცირე მასშტაბის შეჯიბრებად, რომ საჭირო ნაყოფი ვერ მოუტანა ვერც ტანმოვარჯიშეებს და ვერც მასში მონაწილე ორგანიზაციებს. ამ შეჯიბრების ჩავარდნა განაპირობა პირველობის დებულებამ — თბილისში არსებული ფაქტიური მდგომარეობის გაუთვალისწინებლობამ. ვფიქრობ, რომ ეს შეჯიბრება ცალკე მსჯელობის საგნად უნდა გადაიქცეს. შემდეგში მუდმივად უნდა ვიზრუნოთ ფიზკულტურის ძირეული კოლექტივების მუშაობის გააქტიურებისათვის, ხშირად უნდა მოვაწყოთ შეჯიბრებები მათი მონაწილეობით, მაგრამ მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ნაკრებ გუნდებთან მუშაობა.

აღსანიშნავია, რომ ამ ბოლო ხანებში სპორტის დამსახურებული ოსტატებისა და საკავშირო კატეგორიის მსაჯების უმრავლესობა, ჯერ შეჯიბრების მაყურებლის და შემდეგ მისი კრიტიკოსების როლში ყოფნას უფრო არჩევენ, ვიდრე შეჯიბრების მსაჯობაში აქტიურ მონაწილეობას, სამსაჯო კვალიფიკაციის ამაღლებას და ახალგაზრდა მსაჯების აღზრდას. ვფიქრობ, რომ ეს ამხანაგები გადასინჯავენ თავიანთ პოზიციებს.

კარგია, რომ საქართველოში გაიზარდა იმ მწვრთნელთა რიცხვი, რომლებიც ცდილობენ მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეების მომზადებას, მაგრამ საჭიროა მათ დავეხმაროთ ამ საქმეში, რადგანაც ასეთი მწვრთნელების უმრავლესობა ბავშვთა სპორტსკოლებში მუშაობს უნდა ვიფიქროთ, რომ განათლების სამინისტროს მეთოდ-კაბინეტი მათ სათანადო ყურადღებას მიაქცევს და პერიოდულად მოაწყობს მწვრთნელების კვალიფიკაციის ასამაღლებელ შეკრებებსა და სემინარებს.

საქართველოს სახელმწიფო ფიზკულტურის, სასწავლო და სამეცნიერო-კვლევ ინსტიტუტებს ბევრის გაკეთება შეუძლიათ რესპუბლიკის მწვრთნელთა დასახმარებლად. ამ ორგანიზაციებმა სერიოზულად უნდა მოკიდონ ხელი ტანვარჯიშის ცალკეული ელემენტების ტექნიკის და მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეთა საერთო და ცალკეულ იარაღებზე წვრთნის მეთოდიკის დამუშავებას. მათ სისტემატურად უნდა მოაწყონ მეთოდური კონფერენციები, მოხსენებები და მოწინავე მწვრთნელთა გამოცდილების გაზიარება მაღალი თანრიგის ტანმოვარჯიშეთა სპორტული წვრთნის მეთოდიკის საკითხებზე.

განსაკუთრებით ცუდი მდგომარეობაა რესპუბლიკის სატანვარჯიშო იარაღებით მომარაგების საქმეში. სპორტული საზოგადოებების, უმაღლესი სასწავლებლების, ბავშვთა სასპორტო სკოლებისა და ქალაქების ნაკრებ გუნდებსაც კი ვარჯიში უხდებათ ძველი ტიპის, დიდი ხნის წინათ მწყობრიდან გამოსულ იარაღებზე. საქართველოს კულტვაჭრობა დღემდე არ იღებს საჭირო ზომებს რესპუბლიკაში ახალი ტიპის იარაღების შემოზიდვისათვის. ჩვენის აზრით საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭო უნდა დაგვეხმაროს სატანვარჯიშო იარაღების წარმოების მოგვარების საქმეში.

მიმდინარე წლის თებერვალში არჩეულ იქნა ტანვარჯიშის რესპუბლიკური სექციის პრეზიდიუმის, მსაჯთა კოლეგიისა და მწვრთნელთა საბჭოს ახალი შემადგენლობები. ამ ხელმძღვანელ ორგანოებში შეყვანილია ტანვარჯიშის ცნობილი სპეციალისტები, რომლებმაც წარსულში საქართველოს მოუპოვეს ტანმოვარჯიშეთა სამშობლოს სახელი. იმედია ეს ამხანაგები ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკური კომიტეტის დახმარებით ყველაფერს გააკეთებენ არსებული ნაკლოვანებების აღმოფხვრისა და ქართული ტანვარჯიშის შესაფერის სიმაღლეზე აყვანისათვის.

ფიზკულტურის მოწინავე მუშაკები ერთვნული ... დამსახურებული ჯილდო

სიცქვიტითა და მოქნილობით ყველა გუგუშვილი ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა თანატოლებში. სწორედ ამან განსაზღვრა მისი მომავალი პროფესიაც. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, როგორც სკოლის საუკეთესო ფიზკულტურელმა გადაწყვიტა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზკულტურის ფაკულტეტზე შესულიყო. უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ იგი სამშობლოდ შუახევის რაიონის სოფელ ოდალაურის საშუალო სკოლას ესტუმრა, სადაც მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობა დაბალ დონეზე იდგა.

მასწავლებელმა გულდასმით შეისწავლა სკოლის შესაძლებლობანი, ჩამოაყალიბა ძირეული საბჭო, დარაზმა მოსწავლეები ბაზების მოსაწყობად. აღმზრდელის გატაცება ბავშვებსაც გადაედო. შედეგმა მალე იჩინა თავი და ოდალაურელებმა თანდათან იწყეს წარმატებების მოპოვება არა მარტო რაიონულ, არამედ საოლქო შეჯიბრებებშიც. აჭარის ჩემპიონობა მოიპოვეს სათხილამურო სპორტში მოსწავლეებმა ს. ნაკაიძემ, ა. და ო. თავდგირიძეებმა, ხოლო ლამარა ფუტკარაძემ უძლიერესის სახელი დაიმკვიდრა მაგიდის ჩოგბურთში. აჭაური ფიზკულტურელები აჭარის მოსწავლეთა შორის უძლიერესები არიან მცირეკალიბრიანი შაშხანიდან სროლასა და მაგიდის ჩოგბურთში.

ოდალაურელ ფიზკულტურელებს გადაწყვეტილი აქვთ საკუთარი ძალით ააგონ სპორტდა ბაზი. ფიზკულტურის ახალგაზრდა მასწავლებელი ენერგიის დაუზოგავად, მთელი მონდომებით ზრდის ჯანმრთელ თაობას. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს სოფლის კულტურულ საქმიანობაში.

ამ დღეებში ოდალაურის საშუალო სკოლის ფიზკულტურელ კოლექტივს გადაეცა კომკავშირის საოლქო კომიტეტისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროს პრემია—2500 მანეთის სპორტული ინვენტარი კონკურსში გამარჯვებისათვის.

შ. შანიძე



ქუთაისი

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდმა გაიმარჯვა საქალაქო პირველობაზე თავისუფალ ჭიდაობაში. მეორე ადგილი დაიკავეს „განთიადის“, ხოლო მესამე — განათლების განყოფილების სპორტსმენებმა.

წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ფ. გვენცაძე, ა. შეყრილაძე, ე. შვანგირაძე, ტ. კარგაძე, რ. კუპრაშვილი, ჯ. ღვინერია, მ. ასათიანი და ჯ. ჩლიქაძე.

ი. ბუხაიძე

ახალციხე

ორ კვირას გრძელდებოდა ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის სპარტაკიადა, რომლის პროგრამაში იყო ფრენბურთი, მძლეოსნობა, ქართული ჭიდაობა და სროლა. საერთო პირველი ადგილი წილად ხვდათ მეხილეობა-მებოსტნეობის განყოფილების მესამე კურსის ვაჟთა და აგრონომიის განყოფილების მეოთხე კურსის ქალთა კოლექტივებს.

სპარტაკიადის დამთავრების შემდეგ ტექნიკუმის გუნდმა მონაწილეობა მიიღო რაიონულ პირველობაზე და დაიკავა პირველი ადგილი.

ე. გოგოლაძე

სპორტულ საზოგადოებებში

„ბურევესტნიკი“

დამთავრდა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირველობა ჭადრაკში. შეჯიბრებაში, რომელიც ორ ეტაპად ჩატარდა, მონაწილეობდა 39 სპორტსმენი. ფინალურ ტურნირში ჩემპიონის სპატიო სახელისათვის იბრძოდა 1 ოსტატობის კანდიდატი და 10 პირველთანრიგოსანი.

პირველი ადგილი დაიკავა სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტმა ი. ჩიქოვანმა, რომელმაც 7 ქულა დააგროვა. მეორე ადგილი წილად ხვდა კიროვის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტს ი. ვეტოხინს.

ი. ჩიქოვანი და ი. ვეტოხინი მონაწილეობას მიიღებენ „ბურევესტნიკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობის ნახევარფინალში, რომელიც ჩატარდება კიევში, მიმდინარე წლის ივლისში.

ნ. სოროკინი,
შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

დასასრული. იხ. „ლელო“ № 56.

სტუდენტთა სპორტიადა

კვირას საზეიმოდ იყო მოროული „ბურევესტნიკის“ სტადიონი. გაისმის სამწყობრო მუსიკის მელოდიები. სტადიონზე შემოვიდნენ სპორტსმენთა ჯგუფები... სპარტაკიადის მონაწილეებს მიესალმა „ბურევესტნიკის“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე, სპორტის დამსახურებული ოსტატი ბ. პაიჭაძე, რომელმაც სტუდენტ ფიზკულტურულებს უსურვა მაღალი მაჩვენებლების მოპოვება სწავლასა და სპორტში, რესპუბლიკის ღირსების წარმატებით დაცვა სტუდენტთა მომავალ ზონალურ თამაშებზე.

სპარტაკიადის ალმის აღსამართავად ანძისაკენ მიემართებიან შეჯიბრებაში მონაწილე ფიზკულტურული კოლექტივების საუკეთესო სპორტსმენები. გაისმის საქართველოს ჰიმნი. „ბურევესტნიკის“ ალამი ნელნელა მისრიალებს ანძის წვერისაკენ.

სპარტაკიადა გახსნილად ცხადდება. მთავარი მსაჯი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი შ. ახვლედიანი ოფიციალურად შეუდგა მოვალეობის შესრულებას.

ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში გაიმართა ტანმოვარჯიშეთა შეხვედრები. ოსტატ ვაჟთა შორის სავალდებულო ვარჯიშების შემდეგ წინ იყო ფიზკულტურის ინსტიტუტის წარმომადგენელი ო. ქორქია, რომელმაც 53,7 ქულა დააგროვა. მას 0,05 ქულით ჩამორჩა სახელმწიფო უნივერსიტეტის გუნდის წევრი ა. ნარიმანოვი. ქალთა შორის შეჯიბრებას თავიდანვე ლიდერობდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდის წარმომადგენლები თ. ბეთანელი, გ. შარაბიძე და მ. ჯუღელი, რომელთა შორის ამავე თანმიმდევრობით განაწილდა ადგილები საალდებულო ვარჯიშების შემდეგ.

პირველთანრიგოსან ვაჟთა შეჯიბრებაში წინ არის თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის გუნდის წევრი ვ. ჩუბინიძე და ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი გ. ხალათოვი (ქალთა შორის). მეორე ჯგუფის გუნდების შეჯიბრებაში სპარტაკიადის ჩემპიონის წოდება მოიპოვა გორელმა სტუდენტმა მ. პაპუაშვილმა, რომელმაც 54,75 ქულის მოგროვება შეძლო. მომდევნო ადგილები წილად ხვდათ ი. მეგრელიძეს (სამედიცინო ინსტიტუტი) და ა. კოჩიევს (სტალინირის პედინსტიტუტი). ქალთა შორის ყველას აჯობეს გორელებმა ლ. ბაინდურაოვამ და დ. ქურდაძემ. შეჯიბრება დამთავრდა გუშინ.

• • •

შეხვედრები ძალოსნობაში მიმდინარეობდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტდარბაზში. პირველ დღეს ფიცარნაგზე გამოვიდნენ მჩატე და ყვემსუბუქი წონის შტანგისტები. პირველ წონით კატეგორიაში კონკურენციის გარეშე იყო სპორტის ოსტატი რ. დათიკაშვილი (ფიზკულტურის ინსტიტუტი), რომელმაც სამჭიდში 272,5 კილოგრამი დააგროვა (80+82,5+110). გამარჯვებულმა 50 კილოგრამით უკეთესი შედეგი აჩვენა, ვიდრე მეორე ადგილზე გასულმა ს. ლორთქიფანიძემ (ბათუმი). ქვემსუბუქ წონაში ბრძოლა ძირითადად წარიმართა თბილისელ სტუდენტებს შორის. გამარჯვებულმა ც. წოწოლაშვილმა (პოლიტექნიკური ინსტიტუტი) შეძლო სამჭიდის ჯამში 300 კგ მოგროვება, 5-5 კილოგრამით ჩამორჩნენ ზახარიანი (რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი) და კოლონჩენკო (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მაგრამ იმის გამო, რომ ზახარიანი ოდნავ მსუბუქი აღმოჩნდა მოწინააღმდეგეზე, მიეკუთვნა მეორე ადგილი.

შეჯიბრების მეორე დღეს შეხვედრები გაიმართა მსუბუქ და ქვესაშუალო წონებში. მსუბუქ წონაში პირად ჩათვლაში გამოვიდა ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი კ. ჩალათაშვილი, რომელმაც სამჭიდში 345 კგ დააგროვა, მის თანაგუნდელ ფ. ნადირაშვილის შედეგია 302,5 კგ. ქვესაშუალო წონაში კონკურენციის გარეშე იყო რესპუბლიკის რეკორდსმენი, ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტი, სპორტის ოსტატი ვ. რადიმაშვილი. მართალია იგი ამჯერად თავის შესაძლებლობაზე დაბალი მაჩვენებლებით გამოვიდა, მაგრამ სამჭიდში მოაგროვა რა 375 კგ. (120+110+145), მეორე ადგილზე გამოსულ ტ. წურალოვს (უნივერსიტეტი) 27,5 კილოგრამით გაასწრო.

ოთხი წონითი კატეგორიის შემდეგ გუნდურ ჩათვლაში პირველ ჯგუფში წინ მიდიოდნენ ფიზკულტურის ინსტიტუტის (6 ქულა) და პოლიტექნიკური ინსტიტუტის (9 ქულა) კოლექტივები. მეორე ჯგუფში — ბათუმის, გორისა და ქუთაისის გუნდები.

• • •

თბილისის ფიზკულტურის კომიტეტის კორტებზე პირველად გამოვიდნენ უნივერსიტეტისა და რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის ჩოგბურთელები. კ. კვინიხიძისა (უნივერსიტეტი) და რ. ჩალკატრიანის შეხვედრაში ანგარიშით 8:6, 6:3 გაიმარჯვა პირველმა, მაგრამ შემდეგ ა. ჯიშკარიანმა ანგარიში გაათანაბრა. ვაჟთა შეჯიბრებაში ლ. მძინარიშვილმა და ს. ლუკაშვილმა მოწინააღმდეგეებზე გამარჯვებით წინ გაიყვანეს უნივერსიტეტის გუნდი. უნივერსიტეტის სტუდენტთა უპირატესობით დამთავრდა ვაჟთა წყვილის შეხვედრაც. სამაგიეროდ მომავალმა ინჟინრებმა ძლიეს მოწინააღმდეგეს ქალთა წყვილის შეხვედრაში. გაიმარჯვეს უნივერსიტეტის სტუდენტებმა.

• • •

ფრენბურთელთა შეჯიბრებაში მონაწილეობს ქალთა 16 და ვაჟთა 17 გუნდი. შეჯიბრება ტარდება ორ ეტაპად. მონაწილეები, ისე როგორც კალათბურთში, დაყოლნი არიან 4 ქვეჯგუფად.

პირველი დღის შეხვედრებიდან საინტერესო იყო გორისა და ბათუმის პედინსტიტუტების ვაჟთა კოლექტივების მატჩი. პირველი და მესამე პარტიის მოგებით ბათუმლებმა შეძლეს თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ შეხვედრის ბედი.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია: **ქალები, 10 მაისი.** რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ქუთაისი) — 2:1, პედინსტიტუტი (თელავი)-მედინსტიტუტი — 0:2, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-უცხო ენათა ინსტიტუტი — 2:0, პედინსტიტუტი (თბილისი)-პედინსტიტუტი (ქუთაისი) — 2:0, პედინსტიტუტი (ბათუმი)-პედინსტიტუტი (სტალინირი) — 0:2.

11 მაისი. პედინსტიტუტი (გორი)-პედინსტიტუტი (ბათუმი) — 2:0. პედინსტიტუტი (ქუთაისი)-პედინსტიტუტი (თელავი) — 2:1, პედინსტიტუტი (სოხუმი)-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 2:0, უცხო ენათა ინსტიტუტი-ზოოვეტინსტიტუტი — 2:0, პედაგოგიური ინსტიტუტი (თბილისი)-უნივერსიტეტი — 2:1.

ვაჟები, 10 მაისი. პედინსტიტუტი (თბ)-პედინსტიტუტი (ქუთ)— 2:1, უნივერსიტეტი-პედინსტიტუტი (სტალინირი) — 2:0, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ქუთ.)-მედინსტიტუტი — 1:2, უცხო ენათა ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (თელ.) — 2:0, პედინსტიტუტი (სოხ)-სამხატვრო აკადემია —2:0.

11 მაისი. უნივერსიტეტი-პედინსტიტუტი (ბათ.) — 2:1, ზოოვეტინსტიტუტი-სამხატვრო აკადემია — 2:1, ფიზკ. ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (სოხ.)—2:0, სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (ქუთ)-პედინსტიტუტი (თელ) — 2:0, პოლიტექნიკური ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (თბ) — 2:0, რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი-პედინსტიტუტი (გორი)—2:1.

• • •

ქალ კალათბურთელთა შეჯიბრებაში გუნდების გამოყვანა ვერ შეძლეს თეატრალური ინსტიტუტის, კონსერვატორიისა და სახელმწიფო სამხატვრო აკადემიის კოლექტივებმა. შეჯიბრების პირველმა ორმა დღემ ცხადყო, რომ გუნდების უმეტესობა სუსტად არიან მომზადებული. ასე მაგალითად, პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა დიდი ანგარიშით — 88:7 დაამარცხა უცხო ენათა ინსტიტუტი, ხოლო უნივერსიტეტმა — ქუთაისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — 39:16, ფიზკულტურის ინსტიტუტმა — სოხუმელი სპორტსმენები— 55:23.

სხვა შეხვედრათა ტექნიკური შედეგები ასეთია.

10 მაისი. პედინსტიტუტი (ბათ)-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი — 44:31, უცხო ენათა ინსტიტუტი-სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი (თბ) — 42:16, პედინსტიტუტი (გორი)-პედინსტიტუტი (თელავი) — 46:11, მედინსტიტუტი-პედინსტიტუტი (სტალინირი) — 31:15.

11 მაისი. პედინსტიტუტი (ბათ.) ზოოვეტინსტიტუტი —37:10, პედინსტიტუტი (სოხ.)-პედინსტიტუტი (სტალინირი) — 16:20, პედინსტიტუტი (თბ.)-რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტური — 65:28, ფიზკულტურის ინსტიტუტი-მედინსტიტუტი — 41:18.

• • •

მოფარიკაკეთა შეხვედრების პირველმა ორმა დღემ გამოავლინა მონაწილე გუნდების უმეტესობის სუსტი ტექნიკური და ტაქტიკური მომზადება. ეს განსაკუთრებით ითქმის მეორე და მესამე ჯგუფის სპორტსმენთა შესახებ. თუმცა ვერც პოლიტექნიკური ინსტიტუტის, სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ფიზკულტურის ინსტიტუტის მოფარიკაკეებმა უჩვენეს ფარიკაობის მაღალი კლასი.

პირველი ორი დღის შედეგები ასეთია: 1 ჯგუფში. პოლიტექნიკურმა ინსტიტუტმა რაპირაში პირველი ადგილი მოიპოვა ვაჟთა შორის, მეორე ადგილი — ქალებში და მეორე ადგილი — ესპადრონში. ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდებმა გაიმარჯვეს რაპირაში ქალთა შორის და ესპადრონში.

გაზეთ „ლელოს“ ბრიგადა.

• • •

სურათებზე: ზევით — ბაბროს ტყორცნაში გამარჯვებული ლ. ტულუში შეჯიბრების დროს. ქვევით — მარცხნიდან მ. ჯუღელი, თ. ბეთანელი და გ. შარაბიძე.

დაიწყო ფეხბურთში რესპუბლიკური პირველობის გათამაშება მესამე ჯგუფის გუნდებს შორის. ქვემოთ ვაქვეყნებ შეხვედრათა ტექნიკური ანგარიშები.

I ტური

I ზონა. „არაგვი“ (დუშეთი)-ახალციხე — 2:3, „კოლმეურნე“ (დმანისი)-მარნეული — 1:1, „მოტორი“ (ახალციხე)-მტს-ი (ადიგენი) — 1:1, „კოლმეურნე“ (ადიგენი)-ბოგდანოვკა — 2:3, „კოლმეურნე“ (წალკა)-ასპინძა — 1:0.

II ზონა. „შირაქი“ (წითელწყარო)-„არაგვი“ (მცხეთა) — 5:0, კასპი-კაკრეთი — 7:1, სიღნაღი-„კოლმეურნე“ (გარდაბანი) — 3:1, ველისციხე-„ჩანჩერი“ (ლაგოდეხი) — 3:3, „შრ. რეზერვები“ (თბილისი)-ატკ (გურჯაანი) — 6:1, „განთიადი“ (ახმეტა)-„კოლმეურნე“ (ქისტაური) — 0:2.

III ზონა. შემოქმედი-ლაითური — 1:5, „კოლმეურნე“ (ხობი)-„კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ) — 0:2, საბჭ. მეურნეობა (ჩაქვი)-სას. სამ. ტექნიკუმი (ზუგდიდი) — 2:2, „კოლმეურნე“ (წალენჯიხა)-„ცისკარი“ (აბაშა) — 1:2, „ვოდნიკი“ (ფოთი)-„კოლხიდა“ (ფოთი) — 3:0, „კოლმეურნე“ (ცხაკაია)-„თაიგული“ (ლანჩხუთი) — 0:1,

IV ზონა. „ხვანჭკარა“ (ამბროლაური)-სტალინის სახ. შახტი (ტყიბული) — 4:1, „კოლმეურნე“ (ზუგდიდი)-„ხვამლი“ (ცაგერი) — 3:2, „მამისონი“ (ონი)-„ციცქა“ (თერჯოლა) — 3:0, „სპარტაკი“ (მახარაძე)-„აბჰესი“ (გეგეჭკორი) — 2:1, „სპარტაკი“ (ვანი)-„გაზაფხული“ (ზესტაფონი) — 1:1, „შრომა“ (დიდი ჯიხაიში)-„კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი) — 1:1.

II ტური

I ზონა. ახალქალაქი-„კოლმეურნე“ (დმანისი) — 0:0, მარნეული-„მოტორი“ (ახალციხე) — 1:0, მტს-ი (ადიგენი)-„კოლმეურნე“ (ადიგენი)— 0:1, ბოგდანოვკა-„კოლმეურნე“ (წალკა) — 2:1, ასპინძა-თეთრი წყაროო — 2:1.

II ზონა. „არაგვი“ (მცხეთა)-კასპი — 0:3, კაკრეთი-სიღნაღი — 0:4, „კოლმეურნე“ (გარდაბანი)-ველისციხე — 1:0, „ჩანჩერი“ (ლაგოდეხი)-„შრ. რეზერვები“ (თბილისი) — 1:0, ატკ (გურჯაანი)-„განთიადი“ (ახმეტა) — 0:0, „კოლმეურნე“ (ქისტაური)-„შირაქი“ (წითელწყარო) — 0:1.

III ზონა. ლაითური-„კოლმეურნე“ (ხობი) — 2:0, „კოლმეურნე“ (ჩხოროწყუ)-საბჭ. მეურნეობა (ჩაქვი) — 2:0, სას. სამ. ტექნიკუმი (ზუგდიდი)-„კოლმეურნე“ (წალენჯიხა) — 3:2, „ცისკარი“ (აბაშა)-„ვოდნიკი“ (ფოთი) — 2:0, „თაიგული“ (ლანჩხუთი)-„ბუმაჟნიკი“ (ზუგდიდი) — 1:1.

IV ზონა. „ხვამლი“ (ცაგერი)-„მამისონი“ (ონი) — 1:1, „ციცქა“ (თერჯოლა)-„სპარტაკი“ (მახარაძე) — 1:4, „აბჰესი“ (გეგეჭკორი)-„სპარტაკი“ (ვანი) — 3:7, „გაზაფხული“ (ზესტაფონი)-„შრომა“ (დიდი ჯიხაიში) — 4:1, „კოლმეურნე“ (მაიაკოვსკი)-„სტროიტელი“ (ჭიათურა) — 3:1.

ქუთაისი. 11 მაისი. (ტელეფონით ჩვენი კორ.). დღეს აქ გაიმართა მორიგი მატჩი სსრ კავშირის პირველობაზე „ბ“ კლასის მეოთხე ზონის გუნდებს შორის. თამაშობდნენ „ლოკომოტივი“ (ქუთაისი)-„შირაქი“ (ლენინაკანი).

თამაში საკმაოდ ფრთხილად დაიწყო. „ლოკომოტივს“ ჰქონდა საერთო უპირატესობა, მაგრამ მისი რეალიზაცია პირველ ტაიმში არ მოხერხდა.

მეორე ტაიმში სურათი მთლიანად შეიცვალა. ქუთაისელებმა პირველივე წუთებიდან ხელთ იგდეს ინიციატივა და 45 წუთის მანძილზე თითქმის არ მოცილებიან მოწინააღმდეგის საჯარიმო მოედანს. გუნდი თამაშობდა მონდომებით, ენერგიულად. განსაკუთრებით გამოირჩეოდა თავდასხმა.

პირველი ბურთი „ლოკომოტივმა“ გაიტანა მე-15 წუთზე, როცა სორდიამ (№ 11) დაასწრო მცველებს და თავით გაგზავნა ბურთი ბადეში — 1:0. რამდენიმე წუთის შემდეგ კახიანმა (№ 7) შორი მანძილიდან მოტრიალებით დაარტყა კარში — 2:0.

დარჩენილ დროში მასპინძელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ჟორდანიამ კიდევ ორჯერ აიძულა ლენინაკანელები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. მატჩი დამთავრდა ქუთაისის „ლოკომოტივის“ გამარჯვებით ანგარიშთ 4:0.

• • •

გროზნო. 11 მაისი. (ტელეგრაფით). ადგილობრივმა „თერგმა“ თავის მინდორზე მიიღო თბილისის „ბურევესტნიკის“ ფეხბურთელთა გუნდი („ბ“ კლასი, IV ზონა).

მატჩი დამთავრდა მასპინძელთა გამარჯვებით ანგარიშით 2:0.

მოსკოვი—ბერლინი

11 მაისს მოსკოვში ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა ამხანაგური საერთაშორისო მატჩი ფეხბურთში მოსკოვისა და ბერლინის (გდრ) ნაკრებ გუნდებს შორის.

თამაში დამთავრდა მოსკოველთა გამარჯვებით — 4:0. აღსანიშნავია, რომ ეს ანგარიში მიღწეულ იქნა პირველ ტაიმში. 4 ბურთიდან 3 გაიტანა სტრელცოვმა, ხოლო 1 ილინმა

ჩვენ გვწერენ

ჩვენთანაც აღიზრდებიან მაღალი კლასის მთამსვლელები

ამბროლაურისა და ონის რაიონში ბევრი კარგი სპორტსმენი აღზრდილა, რომლებიც ღრსეულად იცავენ თავიანთი რაიონების ღირსებას ფიდაობაში, ძალოსნობაში, ტანვარჯიშში, მძლეოსნობაში. მაგრამ მიუტევებელია ის მდგომარეობა, რომ ამ მთაგორიან რაიონებში მთამსვლელობა სრულიად თავმინებებულია, მიუხედავად იმისა, რომ აქ ყველა პირობა არსებობს მაღალი კლასის მთამსვლელთა აღზრდისათვის. ამ საკითხთან დაკავშირებით ჯერ კიდევ არაფერი გაუკეთებია საქართველოს ალპური კლუბის ხელმძღვანელობას.

ბევრია იმის მოწმე, რომ ჩვეულებრივად, სოფლების გლოლასა და ურავს მცხოვრებლებისათვის ზეპირ და ქვემო სვანეთში ფეხით გადასვლა ისეთივე იოლ საქმედაა მიჩნეული, როგორც სამანქანო გზით სიარული. საგულისხმოა ისიც, რომ ადგილობრივი კოლმეურნეები თავის დამზადების სამუშაოებს ჩვეულებრივად, დაუძაბავად ასრულებენ 2500-2800 მეტრის სიმაღლის ადგილებზე. ეს ფაქტები იმაზე მეტყველებენ, რომ თუ კი სამყარ ადგილზე ჯეროვანი ხელმძღვანელობა გაეწევა, ამ რაიონებში საუკეთესო მთამსვლელები აღიზრდებიან.

საჭიროა ამბროლაურისა და ონის რაიონებში სისტემატურად ტარდებოდეს სხვადასხვა ორგანიზებული ასვლები და ალპინიადები, ინსტრუქტორთა მომზადება, რაც საქართველოს ალპურ კლუბს მრავალი წლის მანძილზე ერთხელაც არ გახსენებია.

ა. ქოჩლაძე,
ამბროლაურის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ფიზალზრდის მასწავლებელი.

ასე იწყება დილა თბილისის 35-ე საშუალო სკოლასთან არსებულ სპორტულ ინტერნატში: ზარის ხმაზე აღსაზრდელები დგებიან, ასრულებენ დილის ტუალეტსა და ვარჯიშს, გულმოდგინედ მოპყავთ წესრიგში საცხოვრებელი ოთახები, საწოლები, კარადები (პირველი სურათი). მცირე ხანიც და ისინი, საუზმის შემდეგ, იქვე, ეზოს მოპირდაპირე მხარეს მდებარე სკოლის შენობისაკენ გაემართებიან.

გაკვეთილებს სისტემატური, ბეჯითი მოამზადება უნდა! უამისოდ მაღალი აკადემიური მაჩვენებლების მოპოვება შეუძლებელია. ყოველთვის, ცხრილით გათვალისწინებულ საათებში აღსაზრდელები თავს იყრიან სამეცადინო ოთახებში და გულისხმიერ აღმზრდელთა დახმარებით ამზადებენ სასკოლო დავალებებს (მეორე სურათი).

შემდეგ კი წვრთნა! მესამე სურათზე თქვენ ხედავთ ნორჩ ფეხბურთელთა შეცადინეობას სპორტის ოსტატ გ. ჭუმბურიძის ხელმძღვანელობით.

ფოტო რ. აბაშიძისა.

200 ათასი მაყურებლის თანდასწრებით

ამ მოკლე ხანებში გაიმართა რამდენიმე საერთაშორისო შეხვედრა ფინალში მონაწილე სახელმწიფოთა ნაკრები გუნდების მონაწილეობით.

მას შემდეგ, რაც არგენტინელებმა თავიანთ დედაქალაქში რევანში აიღეს პარაგვაიანთან შეხვედრაში (1:0), მათ შეორე სარეანბილიტაციო მატჩი ჰქონდათ ურუგვაიანთან, რომლებთანაც მათ დამარცხება განიცადეს გასულ თვეს. ეს თამაში შედგა ბუენოს-აირესში და დამთავრდა არგენტინის ნაკრების გამარჯვებით ანგარიშით 2:0, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ არგენტინელებმა კვლავ წარუმატებლად დაამთავრეს თავიანთი მორიგი საწვრთნელი მატჩი. ისინი ლ-ნტ-იადროში შეხვდნენ ჩილის ერთ-ერთ უძლიერეს გუნდს „კოლო-კოლოს“ და ითამაშეს ფრეგ — 2:2.

რიო-დე-ჟანეიროში არის შესანიშნავი სტადიონი „მარაკანა“, რომელიც იტევს 200 ათას მაყურებელს. ფეხბურთის მრავალ ათასი მოყვარული ესწრებოდა მატჩს ფინალის მონაწილე ქვეყნების — ბრაზილიისა და პარაგვაის გუნდებს შორის. ბრაზილიელთა უპირატესობა აშკარა იყო — 5:1. ამავე გუნდების განმეორებითი შეხვედრა სან-პაულოში რამდენიმე დღის შემდეგ დამთავრდა უშედეგოდ — 0:0.

მექსიკის ნაკრებმა თავის მინდორზე მეხიკოში მიიღო ბრაზილიის გუნდი „ვასკო და გამა“. მატჩი დამთავრდა ფრედ — 1:1.

მორიგი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონობის ერთ-ერთმა ფავორიტმა ინგლისის ნაკრებმა, რომელმაც ლონდონში დაამარცხა პორტუგალიის გუნდი — 2:1.

ციფრები და ფაქტები

● **16 თვის** მანძილზე გრძელდებოდა შესარჩევი მატჩები მსოფლიო პირველობაზე ფეხბურთში.

შესარჩევი თამაშების დიდ პოპულარობაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ 89 მატჩს დაესწრო 4.700.000 მაყურებელი. ეს ნიშნავს, რომ საშუალოდ ყოველ მატჩს უყურებდა 51.000 კაცი. აქედან 12 თამაშს დაესწრო 100.000-ზე მეტი მაყურებელი, ხოლო ბრაზილიისა და პერუს გუნდების მატჩზე რიო-დე-ჟანეიროში იყო მაყურებელთა სარეკორდო რაოდენობა — 200.000.

● **შესარჩევ** მატჩებში სულ გატანილ იქნა 341 გოლი, ე. ი. საშუალოდ 4 გოლი თვითეულ მატჩში. ყველაზე უფრო შედეგიანი იყო ორ მატჩი: სსრ კავშირი-ფინეთი — 10:0 და საფრანგეთი-ისლანდია — 8:0.

● **ბურთების** ყველაზე მეტი რაოდენობა გაიტანა საჰაერო კატასტროფაში დაღუპულმა ტომი ტაილორმა (ინგლისი) — 8. მომდევნო ადგილებზე არიან: სიზოვსკი (საფრანგეთი) — 7, კუბალა (ესპანეთი) მუდიე (შოტლანდია) — 5, სიმონიანი (სსრკ) მახოში (უნგრეთი) და გუატერია (მექსიკა) — 4.

რედაქტორი ი. უგულავა.

წნორის ქართულ საშუალო სკოლაში ჩატარდა შიდასაკოლექტივო შეჯიბრებები კალათბურთში, ფრენბურთსა და მძლეოსნობაში. კალათბურთში პირველ ადგილზე გამოვიდა XI კლასი, ხოლო ფრენბურთში — X კლასი. საინტერესოდ მიმდინარეობდა შეჯიბრება მძლეოსნობაში, რომელშიც კარგ მაჩვენებლებს მიაღწიეს გ. გოზალიშვილმა (სიმაღლეზე ხტომაში), ო. სანიკიძემ (ყუმბარის ტყორცნასა და სიგრძეზე ხტომაში) და სხვ.

ნ. მღებრიევა

• • •

ადიგენის რაიონის სოფელ ბოლაჯურის საშუალო სკოლაში ჩატარდა სასკოლო პირველობა ჭადრაკში. რომელშიც 8 მოსწავლე მონაწილეობდა. პირველი ადგილი დაიკავა X კლასის მოსწავლემ რ. ტყაბლაძემ.

პ. მერაბიშვილი

• • •

ჩოხატაურში დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული შეჯიბრების პირველი ტური ფეხბურთში. „ა“ ჯგუფში გაიმარჯვეს ჩოხატაურის პირველი საშუალო სკოლის ფეხბურთელებმა. „ბ“ ჯგუფში — სოფელ დაბლაციხის გუნდმა.

დ. გურგენიძე

• • •

ქედის რაიონის სოფ. ცხმორისის საშუალო სკოლაში მაღალ დონეზე ჩატარდა მოსწავლეთა სპარტაკიადა, რომელშიც მონაწილეობდა 150 მოსწავლე.

ფრენბურთში და კალათბურთში გამარჯვებულები გამოვიდნენ XI კლასის გუნდები. მძლეოსნობაში საერთო პირველი ადგილი წილად ხვდათ IX კლასის მოსწავლეებს.

ამჟამად სკოლის ნაკრები გუნდები ფრენბურთში, კალათბურთსა და მძლეოსნობაში ემზადებიან საერთო-რაიონო სპარტაკიადაში მონაწილეობისათვის.

ა. ბერიძე

ესპონელთა მეოთხე გამარჯვება

საბჭოთა კავშირის პირველობა კალათბურთში

მოსკოვის „დინამო“ ჩემპიონატის პირველ წრეში მესამე ადგილზე გამოვიდა. იგი ლიდერებს, რიგის არმიელთა კოლექტივს და მოსკოვის ცსკმ-ს შესაბამისად ორი და ერთი ქულით ჩამორჩა. ვინ იფიქრებდა, რომ დედაქალაქის დინამოელები წარუმატებლად იბრძოლებდნენ მეორე წრეში. მაგრამ პირველმა შეხვედრებმა გვიჩვენეს, რომ დინამოელები სრულებით არ არიან ფორმაში.

თბილისის „ბურევესტნიკმა“ პირველ წრეში რამდენიმე შეხვედრა წააგო მინიმალური ანგარიშით და, როგორც მნახველები ამბობენ, მათ გამარჯვების რეალური შანსებიც ჰქონდათ. ასე იყო კერძოდ სვერდლოვსკის გუნდთან (63:66), მოსკოვის „სპარტაკთან“ (63:69), „ეუნასის „ყალგირისთან“ (54:60). ასე იყო მეორე წრეში ტალინია „ყალევთანაც“ (68:69). მაგრამ გამარჯვებასთან ყველაზე ახლოს იდგნენ თბილისელები მოსკოვის „დინამოსთან“ მატჩის დროს.

პირველ ნახევარში მინიმალური უპირატესობა მოსკოველთა მხარეს იყო. თბილისელებმა, ნორთალია, ანგარიშის გათანაბრების რამდენიმე ხელსაყრელი მომენტი გაუშვეს, მაგრამ ტაიმი მაინც მოსკოველების იყო და მათ მოიგეს კიდეც — 42:35. მეორე ნახევარში სურათი შეიცვალა. მდგომარეობის ბატონ-პატრონი გახდა თბილისის გუნდი. ახალგაზრდა მოთამაშეების ტემპიან, აგრესიულ თამაშს აღტაცებაში მოჰყავდა მაყურებელი. მეორე ნახევარი თბილისელებმა მოიგეს 5 ქულით, მაგრამ ეს საკმარისი არ გამოდგა გამარჯვებისათვის. მოსკოვის „დინამომ“ აღლო მეტად ძნელი და საჭირო ქულა დამარცხა რიგის „სპარტაკი“ — 65:63.

თბილისის „დინამო“ რომ ძველი „დინამო“ არაა, ამას ყველა ხედავს. ეს არც არის გასაკვირი. გუნდის შემადგენლობიდან მაღალი კლასის მოთამაშეების ო. ქორქია-ა და ნ. ჯორჯიკიანის წასვლამ თავისი დალი დაიჩინა. „დინამო“ ეხლა ახალგაზრდული შემადგენლობით თამაშობს და ბევრ შემთხვევაში საკმაოდ ოსტატურად, მაგრამ უნდა ითქვას, რომ ახალგაზრდა კალათბურთელები თანბამარი სიძლიერით ვერ ატარებენ ყველა მატჩს. სწორედ ამით აიხსნება დინამოელთა წაგება მეოთხე ტურში ტალინის „ყალევთან“ მინიმალური ანგარიშით 79:80 (37:40). ტალინელებმა ჩემპიონატში ზუდიზედ მეოთხე გამარჯვება მოიპოვეს.

უკანასკნელ შეხვედრებს ძლიერად ატარებს ყაუნასის „ყალგ-რისაც“. პოლისდაბოლოს გათამაშდა ლიტველთა ცენტრალური თაედამსხმელი ლაურიტენასი და გუნდმა ფეხქვეშ იგრძნო მყარი ნიადაგი. „ყალგირისმა“ მოიგო შეხვედრა ლენინგრადის „ბურევესტნიკთან“ — 73:66.

ს. დუდკინი,
საკავშირო კატეგორიის მსაჯი, ტალინი, ჩვენი საკ. კორესპონდენტი.

კალათბურთელთა საკავშირო ჩემპიონატში მონაწილე უქვსი სხვა გუნდი გამოდის რიგის ჯგუფში. აქ იბრძვის რიგის სკკა და „სპარტაკი“, თავდაცვის სამინისტროს ცენტრალური სპორტული კლუბის გუნდი, ალმა-ატის „ბურევესტნიკი“, მოსკოვის „სპარტაკი“ და სვერდლოვსკის სპორტსმენთა კოლექტივი.

მოგვყავს პირველი ტურის შეხვედრების შედეგები: სკკა (რიგა)-„სპარტაკი“ (რიგა) — 79:49, ცსკმ-სვერდლოვსკი — 97:64, „ბურევესტნიკი“ (ალმა-ატა)-„სპარტაკი“ (მოსკოვი) — 46:42. მეორე ტურში რიგის „სპარტაკმა“ დაამარცხა მოსკოველი თანაკლუბელები — 74:62, ცსკმ-მ — ალმა-ატის „ბურევესტნიკი“ — 90:41.

• • •

გათამაშების ცხრილი

	თ.	მ.	წ.	ქ.
სკკა რიგა	12	11	1	11
ცსკმ მოსკოვი	13	11	2	11
„დინამო“ მოსკოვი	15	10	5	10
„ბურ“. ალმა-ატა	13	8	5	8
„დინამო“ თბ.	15	8	7	8
„ბურ“. ლენინგრ.	15	7	8	7
„ყალევი“ ტალინი	15	7	8	7
„სპარტაკი“ რიგა	13	5	8	5
„ყალგ.“ ყაუნასი	15	5	10	5
სვერდლოვსკი	12	4	8	4
„ბურ“. თბილისი	15	4	11	4
„სპარტაკი“ მოსკოვი	13	3	10	3

შენიშვნა: ცხრილში შეტანილია რიგის ჯგუფის პირველი ღონეების კალენდარული შეხვედრათა შედეგებიც.

მსოფლიოს გარშემო

1954 წელს ქალაქ ვენეციის (კანადა) მცხოვრები კონრად დუბე შეუდგა მსოფლიოს გარშემო მოგზაურობას... ველოსიპედით. ამერიკის და ევროპის ქვეყნებზე 60 ათასი კილომეტრის გავლის შემდეგ იგი ავად გახდა — ცალი გვერდი პარალიზებული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა ეს მდგომარეობა დაუღალავ ენთუზიასტს არ აფიქრებს და ვარაუდობს, რომ საექიმო მკურნალობის დამთავრების შემდეგ დაასრულებს დაწყებულ მოგზაურობას.

გაზეთი გამოდის საშშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით. რედაქციის მისამართი: თბილისი, ელ. ქიძის დადმართი № 12. დეპეშებისათვის თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორის — 3-89-62, პ.-მგ. მდივნისა და განყოფილებების — 3 90 34, მორიგისა და გამომშვების — 3-01-06.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

უე 02458